საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 46 48

07/10/2020

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 122-ე მუხლის შესაბამისად და თერჯოლის მუნიციპალიტეტს მერის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 9 სექტემბრის N-45/3099 წერილის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, მასზედ, რომ ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N117-ში მდებარე (ს/კ N33.09.36.038) შენობის პირველ სართულზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 3 (სამი) ოთახი, ჯამში 38.70 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უვადოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადასცეს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიას.

მუხლი 2. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო